პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 36-ე წელი | № 47 (10441) | შაბათი, 25 თებერვალი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

გუშინ მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა.

ყრილობის დილის სხდომაზე ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო.

ყრილობამ დაავალა სკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ შეტანილი პროექტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი [illegible] მიღებულ იქნას საფუძვლად და არჩეულ იქნას ყრილობის კომისია დირექტივების პროექტის შესწორებათა და დამატებათა განსახილველად.

ყრილობამ დაამტკიცა რეზოლუცია პარტიის წესდებაში ნაწილობრივი ცვლილებების შესახებ.

# რ ე ზ ო ლ უ ც ი ა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო

(მ ი ღ ე ბ უ ლ ი ა   ე რ თ ხ მ ა დ   1956 წ ლ ი ს   24 თ ე ბ ე რ ვ ა ლ ს)

**მოისმინა და განიხილა რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა ადგენს:**

**მთლიანად და სავსებით მოწონებულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა;**

**მოწონებულ იქნას ცენტრალური კომიტეტის წინადადებები და დასკვნები, რომლებსაც შეიცავს მისი საანგარიშო მოხსენება.**

ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის ლენინური პოლიტიკისა და საბჭოთა ხალხის გმირული შრომის შედეგად ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან მჭიდრო თანამშრომლობით მიღწეულია უდიდესი წარმატებანი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის და მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ყრილობა მხურვალედ იწონებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ სწორ და დროულ ღონისძიებებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომ ზრდას, სოციალისტური ეკონომიკის ახალ მძლავრ აღმავლობას და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

ყრილობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმატებითს საქმიანობას საფუძვლად ედო მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემოქმედებითი გამოყენება, კოლექტიური ხელმძღვანელობისა და შინაპარტიული დემოკრატიის ლენინური პრინციპების უაღრესად მტკიცედ დაცვა, განუხრელად შესრულება ლენინის მითითებებისა ხალხთან ჩვენი პარტიის განუყრელი კავშირის შესახებ. მთელი ამ წლების მანძილზე პარტიას მაღლა ეჭირა უკვდავი ლენინის დიადი დროშა.

ყრილობა აღნიშნავს, რომ **საერთაშორისო ურთიერთობის** დარგში საანგარიშო პერიოდი აღინიშნა დაძაბულობის ერთგვარი შენელებით და იმით, რომ საერთაშორისო ასპარეზზე გაჩნდა მშვიდობის განმტკიცების რეალური პერსპექტივები. საბჭოთა კავშირმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებთან ერთად დროზე დასახა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საგარეოპოლიტიკური ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება. ამ ღონისძიებებს აქტიურად დაუჭირეს მხარი მთელმა მშვიდობისმოყვარე ძალებმა. მოვლენათა მთელი მსვლელობა ნათლად გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო განვითარებაში მოხდა ძირეული ცვლილებანი სოციალიზმის პოზიციების განმტკიცების მიმართულებით. ჩვენი ეპოქის მთავარი ნიშანი ის არის, რომ სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიო სისტემად გადაიქცა, ამასთან კაპიტალიზმი უძლური აღმოჩნდა ხელი შეეშალა ამ მსოფლიო-ისტორიული პროცესისათვის.

საბჭოთა კავშირში, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გრძელდება მძლავრი ეკონომიური და კულტურული აღმავლობა, უმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა, მტკიცდება ხალხთა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა და დარაზმულობა კომუნისტური და მუშათა პარტიებისა და ხალხთა მიერ თავისუფლად არჩეული მთავრობების გარშემო. სოციალისტურ მშენებლობაში სერიოზული მიღწევები აქვს აგრეთვე იუგოსლავიას. ეკონომიკის აღმავლობა იმ ქვეყნებში, რომლებიც სოციალისტური გზით მიდიან, ხდება ჯანსაღ საფუძველზე და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობისა და ძმური ურთიერთდახმარების სულ უფრო განმტკიცების პირობებში.

ვითარება კაპიტალისტურ სამყაროში, რომლის ზონაც მნიშვნელოვნად დავიწროვდა, ხასიათდება ღრმა წინააღმდეგობათა შემდგომი ზრდით. წარმოების ერთგვარმა გადიდებამ, რასაც კაპიტალისტურმა ქვეყნებმა მიაღწიეს ომისშემდგომ ათ წელიწადში ისეთი ფაქტორების საშუალებით, როგორიც არის ეკონომიკის მილიტარიზაცია და გამალებული შეიარაღება, საგარეო ეკონომიური ექსპანსიის გაძლიერება, ძირითადი კაპიტალის განახლება და მშრომელთა ექსპლოატაციის მკვეთრი გაძლიერება, ვერ უზრუნველყო კაპიტალიზმის ეკონომიკის სიმყარე, პირიქით, კაპიტალისტური ეკონომიკა კიდევ უფრო მერყევი გახდა. კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისი კვლავ ღრმავდება. კაპიტალიზმის ულრმესი წინააღმდეგობა — წინააღმდეგობა თანამედროვე საწარმოო ძალებსა და კაპიტალისტურ წარმოებითს ურთიერთობას შორის — სულ უფრო მწვავდება; ღრმავდება წინააღმდეგობა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც იბრძვიან გასაღების ბაზრებისა და გავლენის სფეროებისათვის; იზრდება და ღრმავდება სოციალური წინააღმდეგობანი. მუშათა კლასის ექსპლოატაციის გაძლიერების, სიძვირის ზრდის, სამხედრო მიზნებისათვის გადასახადთა მკვეთრი გადიდების შედეგად და იმის გამო, რომ მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში ქრონიკული უმუშევრობაა, ქვეითდება მშრომელთა ცხოვრების დონე; ძლიერდება მუშათა კლასის, ხალხთა ფართო მასების ბრძოლა თავიანთი სასიცოცხლო უფლებებისა და ინტერესებისათვის. კაპიტალიზმი განუხრელად მიდის ეკონომიური და სოციალური შერყევებისაკენ.

ამ ვითარებაში ნათლად გამოირკვა ორი ძირითადი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულება საერთაშორისო მოვლენათა განვითარებაში.

ერთი მხრივ, იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ამერიკის რეაქციული წრეების მეთაურობით ომის დამთავრების ცოტა ხნის შემდეგ დაიწყეს განხორციელება „ძალის პოზიციის“ პოლიტიკისა, რომელიც ასახავს ამ სახელმწიფოთა ყველაზე აგრესიული ელემენტების მისწრაფებას — ჩაახშონ მუშათა, დემოკრატიული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობანი, ძირი გამოუთხარონ სოციალიზმის ბანაკს და დაამყარონ თავიანთი მსოფლიო ბატონობა. ეს პოლიტიკა პრაქტიკულად ნიშნავს შეუკავებელ გამალებულ შეიარაღებას; ამერიკის სამხედრო ბაზების შექმნას სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საზღვრების გაყოლებით, აგრეთვე სოციალისტური ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული აგრესიული ბლოკების შეკოწიწებას; სოციალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ ეგრეთწოდებული „ცივი ომის“ გაჩაღებას და ახალი სისხლისმღვრელი ომების მომზადებას.

მეორე მხრივ, სულ უფრო იზრდებიან და მტკიცდებიან ძალები, რომლებიც მსოფლიო ასპარეზზე იბრძვიან ხალხთა მტკიცე მშვიდობისა და უშიშროებისათვის; ისინი აქტიურ ბრძოლას აჩაღებენ ომის საფრთხის წინააღმდეგ, სხვადასხვა ეკონომიური და სოციალური სისტემების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. ამასთან გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალიზმის საერთაშორისო ბანაკის განუხრელ განმტკიცებას, ბანაკისა, რომელიც სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენს მსოფლიო მოვლენათა მსვლელობაზე. მშვიდობის ძალები მნიშვნელოვნად გამრავლდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ მსოფლიო ასპარეზზე გამოვიდა ჯგუფი ევროპისა და აზიის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებისა, რომლებმაც თავიანთი საგარეო პოლიტიკის პრინციპად გამოაცხადეს სამხედრო ბლოკებში მონაწილეობის მიუღებლობა. ამრიგად, შეიქმნა ვრცელი „მშვიდობის ზონა“, რომელშიც შედიან ევროპისა და აზიის როგორც სოციალისტური, ისე არასოციალისტური მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები და რომელიც მოიცავს დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტს.

ომისშემდგომი პერიოდის მსოფლიო-ისტორიული მოვლენაა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა, რაც ახლა მიმდინარეობს. კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე დიდი გამარჯვებებით დაგვირგვინდა: კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ დამოკიდებულ მდგომარეობას თავი დააღწია 1 მილიარდ 200 მილიონზე მეტმა ადამიანმა — დედამიწის მოსახლეობის თითქმის ნახევარმა. დღის წესრიგში დგას კოლონიური სისტემის სრული ლიკვიდაციის საკითხი. დადგა მსოფლიო ისტორიის ახალი პერიოდი, რომელიც განჭვრიტა დიდმა ლენინმა, პერიოდი, როცა აღმოსავლეთის ხალხები აქტიურ მონაწილეობას იღებენ მთელი მსოფლიოს ბედის გადაწყვეტაში და საერთაშორისო ურთიერთობის ახალი მძლავრი ფაქტორი ხდებიან.

ომის საფრთხის წინააღმდეგ ყველაზე აქტიურ და თანმიმდევრულ მებრძოლებად თავი გამოიჩინეს კომუნისტურმა პარტიებმა, რომლებიც მშვიდობის დაცვისათვის, მშრომელთა ინტერესებისა და თავიანთი ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შუაგულში არიან. ამავე დროს ომის საწინააღმდეგო პოზიციებიდან მოქმედებენ აგრეთვე ბევრი სხვა საზოგადოებრივი წრეები. მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მთელმა ძალებმა, რომლებიც ომის წინააღმდეგ გამოდიან, იმოქმედონ ერთიანი ფრონტით და არ შეასუსტონ თავიანთი ღონისძიებანი მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. ამ საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუშათა მოძრაობაში გათიშვის აღმოფხვრას და საქმიანი კონტაქტების დამყარებას კომუნისტურ პარტიებსა და სოციალისტებს, აგრეთვე სხვა პარტიებს შორის, რომლებსაც ნამდვილად სურთ დაიცვან მშვიდობა, იბრძოლონ იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ, დაიცვან თავიანთი ხალხების ეროვნული ინტერესები, დემოკრატია და დამოუკიდებლობა.

ყრილობა იწონებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომლის მეოხებით მიღწეულია დიდი წარმატებანი საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, მშვიდობის განმტკიცებისა და დემოკრატიულ ძალთა პოზიციების განმტკიცების საქმეში.

პარტიის XX ყრილობას სავსებით სწორად მიაჩნია ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ხაზი, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპის საფუძველზე განხორციელდეს ყველა ქვეყანასთან ურთიერთობის გაუმჯობესების, ნდობის განმტკიცებისა და თანამშრომლობის განვითარების კურსი. ამ მხრივ დიდ როლს შეასრულებს საერთაშორისო ურთიერთობის ცნობილი ხუთი პრინციპი, რომლებიც აღიარებულია ბევრი სახელმწიფოსა და საზოგადოებრიობის ფართო ფენების მიერ, — ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემა, თავდაუსხმელობა, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, სახელმწიფოთა ურთიერთობის განვითარება თანასწორობისა და ურთიერთ სარგებლობის საფუძველზე, მშვიდობიანი თანაარსებობა და ეკონომიური თანამშრომლობა. ეს პრინციპები წარმოადგენენ სხვადასხვა სოციალური წყობილების მქონე სახელმწიფოთა ურთიერთობის საუკეთესო ფორმულას ახლანდელ პირობებში და შეიძლებოდა გამხდარიყვნენ მთელი დედამიწის სახელმწიფოთა მტკიცე მშვიდობიანი ურთიერთობის საფუძველი.

ცხოვრებამ სავსებით დაადასტურა საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა იმ წინადადებათა სისწორე და დროულობა, რომელთა მიზანია განიარაღება და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვა, ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფა და აზიის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფა, — ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გადაჭრა შექმნის მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის საფუძველს და ხელს შეუწყობს სხვა დიდმნიშვნელოვანი მოუწესრიგებელი პრობლემების, კერძოდ გერმანიის საკითხის გადაჭრას.

მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა მტკიცე მეგობრული ურთიერთობის დამყარებას საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის, როგორც მსოფლიოს ორ უდიდეს სახელმწიფოს შორის, აგრეთვე საბჭოთა კავშირსა და ისეთ დიდ სახელმწიფოებს შორის, როგორიც ინგლისი და საფრანგეთი არიან.

XX ყრილობას დროულად და სწორად მიაჩნია ამ მიზნის მიღწევისათვის საბჭოთა მხარის მიერ მიღებული ღონისძიებანი და სავსებით იწონებს მათ.

ევროპის ხალხთა მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესები მოითხოვენ ურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებას ერთი მხრივ საბჭოთა კავშირსა და მეორე მხრივ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის. საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, აგრეთვე პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, შვეცია, ფინეთი ნორვეგია, საბერძნეთი, ავსტრია და ევროპის ყველა ქვეყანა, სასიცოცხლოდ დაინტერესებულია იმით, რომ არ დაუშვას ახალი ომის წარმოშობა ევროპაში, რომლის ტერიტორიაზე მოხდა პირველი და მეორე მსოფლიო ომების ძირითადი ბრძოლები. ამით სასიცოცხლოდ დაინტერესებულია აგრეთვე გერმანელი ხალხი. ამრიგად, ევროპის ყველა სახელმწიფოსა და ხალხს აერთიანებს ახალ სამხედრო შეჯახებათა თავიდან აცილებისათვის ბრძოლის საერთო ინტერესები.

თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში თვალსაჩინო როლი უნდა შეასრულოს აღმოსავლეთის ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და თანამშრომლობის გაფართოებამ და განმტკიცებამ. დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა ამ ამოცანის გადაჭრას, XX ყრილობა იწონებს ინდოეთის რესპუბლიკასთან, აგრეთვე ბირმასთან, ავღანეთთან და ეგვიპტესთან კარგი, მეგობრული ურთიერთობის დამყარებას, რაც უკანასკნელ ხანს იქნა მიღწეული.

მშვიდობისა და დემოკრატიის განმტკიცების საქმეს შეესაბამება არაბთა ქვეყნების ხალხთა სულ უფრო ფართოდ მზარდი მისწრაფება — დაიცვან და განამტკიცონ თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობა.

XX ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირსა და მის მოსაზღვრე თითქმის ყველა სახელმწიფოთა შორის დამყარდა მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობა. ეჭვი არ არის, რომ სსრ კავშირსა და ირანს, თურქეთსა და პაკისტანს შორის ნორმალური ურთიერთობა ამ ქვეყნების სასიცოცხლო ინტერესების, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმის ინტერესების შესაბამისი იქნებოდა.

ქვეყნებს შორის თანამშრომლობის საფუძვლის გაფართოების საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულოს საერთაშორისო ვაჭრობამ და კულტურული ურთიერთობის განვითარებამ.

XX ყრილობა აღნიშნავს, რომ ამჟამად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მოიპოვეს თანამედროვე საერთაშორისო განვითარების ისეთმა ძირეულმა პრინციპულმა საკითხებმა, როგორიც არის ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის, თანამედროვე ეპოქაში ომების თავიდან აცილების შესაძლებლობისა და სოციალიზმზე სხვადასხვა ქვეყნის გადასვლის ფორმების საკითხებმა.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის გენერალური ხაზი იყო და არის სხვადასხვა სოციალური წყობილების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი.

ხელმძღვანელობს რა თავის ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას, ჩვენი პარტია მტკიცედ ილაშქრებს ომის გაჩაღების წინააღმდეგ. პარტია ემყარება ურყევ ლენინურ მითითებას, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში ახალი საზოგადოებრივი წყობილების დამყარება ყოველი მოცემული ქვეყნის ხალხის საშინაო საქმეა. ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი სულ უფრო ფართო აღიარებას პოულობს.

საბჭოთა კავშირის, სოციალისტური ქვეყნებისა და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების, ყველა ქვეყნის ხალხთა უფართოესი მასების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მტკიცე მშვიდობის შენარჩუნება და დამკვიდრება და ახალი ომის, ახალი აგრესიის თავიდან აცილება. თანამედროვე საერთაშორისო პირობებში შეიქმნა იმის რეალური შესაძლებლობანი, რომ იმპერიალიზმის აგრესიულ ძალებს არ მიეცეთ შესაძლებლობა ჩაითრიონ ხალხები ახალ ომებში, რომლებიც სამხედრო ტექნიკის ახლანდელი დონის პირობებში ხალხებს აურაცხელ უბედურებასა და ნგრევას მოუტანდნენ. ამჟამად დედამიწაზე მარტო კაპიტალისტური სისტემა როდი არსებობს. არის მძლავრი მშვიდობისმოყვარე სოციალისტური ბანაკი, რომლის სახითაც მშვიდობისმოყვარე ძალებს აქვთ არა მარტო მორალური, არამედ მატერიალური სახსრებიც აგრესიის თავიდან ასაცილებლად. გარდა ამისა, არის ისეთ სხვა სახელმწიფოთა დიდი ჯგუფი ასეულ მილიონობით მოსახლეობით, რომლებიც აქტიურად გამოდიან ომის წინააღმდეგ. არის მშვიდობის მომხრეთა მძლავრი საყოველთაო-სახალხო მოძრაობა. უდიდესი ძალა გახდა მუშათა მოძრაობა კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამ პირობებში, რა თქმა უნდა, ძალაში რჩება ლენინური დებულება, რომ, რამდენადაც იმპერიალიზმი არსებობს, რჩება ომების წარმოშობის ეკონომიური საფუძველიც.

სწორედ ამიტომ ჩვენ უდიდესი სიფხიზლე გვმართებს, სანამ დედამიწაზე კაპიტალიზმი რჩება, რეაქციულ ძალებს, რომლებიც კაპიტალისტური მონოპოლიების ინტერესების წარმომადგენელნი არიან, კვლავაც ექნებათ მისწრაფება სამხედრო ავანტიურებისა და აგრესიისადმი, შეუძლიათ სცადონ გააჩაღონ ომი. მაგრამ ომების ფატალური გარდუვალობა არ არსებობს. ახლა არსებობენ მძლავრი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალები, რომლებსაც სერიოზული საშუალებები მოეპოვებათ იმისათვის, რომ არ დაუშვან იმპერიალისტების მიერ ომის გაჩაღება, ხოლო თუ მათ სცადეს ომის დაწყება, გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიონ აგრესორებს, ჩაფუშონ მათი ავანტიურისტული გეგმები. ამისათვის საჭიროა, რომ მთელი ძალები, რომლებიც ომის წინააღმდეგ გამოდიან, იყვნენ ფხიზელნი და მობილიზებულნი, რომ ისინი მოქმედებდნენ ერთიანი ფრონტით და არ შეასუსტონ თავიანთი ბრძოლა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

იმასთან დაკავშირებით, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ღრმა ისტორიული ცვლილებები მოხდა სოციალიზმის სასარგებლოდ, ახალი პერსპექტივები ისახება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე ქვეყნების გადასვლის საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ემყარება ლენინურ დებულებას იმის შესახებ, რომ „ყველა ერი განახორციელებს სოციალიზმს, ეს აუცილებელია, მაგრამ ყველა განახორციელებს არა სავსებით ერთნაირად; თვითეული შეიტანს თავისებურებას დემოკრატიის ამა თუ იმ ფორმაში, პროლეტარიატის დიქტატურის ამა თუ იმ სახესხვაობაში, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეთა სოციალისტური გარდაქმნის ამა თუ იმ ტემპში“ (თხზ., ტ. 23, გვ. 81).

სოციალიზმის გზით მიმავალი ყველა ქვეყნის განვითარების ისტორიულმა გამოცდილებამ სავსებით დაადასტურა ლენინის ეს დებულება. ამჟამად სოციალისტურ საწყისებზე საზოგადოების გარდაქმნის საბჭოთა ფორმასთან ერთად არის სახალხო დემოკრატიის ფორმა. იგი ყოველმხრივ გამოცდილ იქნა ათი წლის მანძილზე და სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება. სახალხო დემოკრატიის სახელმწიფოებშიც ცოტა როდია ელფერი და განსხვავება თვითეული ქვეყნის პირობების შესაბამისად. სოციალისტური მშენებლობის ფორმებში ბევრი თავისებურება შეაქვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, რომლის ეკონომიკა რევოლუციის გამარჯვებამდე უკიდურესად ჩამორჩენილი იყო და ნახევრადფეოდალური და ნახევრადკოლონიური ხასიათი ჰქონდა. გადამწყვეტი მბრძანებელი მაღლობების დაპყრობის საფუძველზე სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო ახორციელებს კერძო მრეწველობისა და ვაჭრობის მშვიდობიანი გარდაქმნისა და სოციალისტური ეკონომიკის შემადგენელ ნაწილად მათი თანდათანობით გადაქცევის კურსს.

სავსებით კანონზომიერია, რომ სოციალიზმზე ქვეყნების გადასვლის ფორმები შემდეგში სულ უფრო მრავალფეროვანი იქნება. ამასთან აუცილებელი არ არის, რომ სოციალიზმზე გადასვლის ფორმების განხორციელება ყველა პირობაში დაკავშირებული იქნება სამოქალაქო ომთან. ლენინიზმი გვასწავლის, რომ გაბატონებული კლასები ნებაყოფლობით არ თმობენ ძალაუფლებას. მაგრამ სოციალიზმზე გადასვლისათვის კლასობრივი ბრძოლის მეტი თუ ნაკლები სიმწვავე, ამ გადასვლისას ძალადობის გამოყენება ან გამოუყენებლობა დამოკიდებულია არა იმდენად პროლეტარიატზე, რამდენადაც მშრომელთა დიდი უმრავლესობის ნებისადმი ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის ოდენობაზე, თვით ექსპლოატატორთა კლასის მიერ ძალადობის გამოყენებაზე.

ეჭვი არ არის, რომ მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნებისათვის, სადაც კაპიტალიზმი ჯერ კიდევ ძლიერია, სადაც მის ხელშია უდიდესი სამხედრო-პოლიციური აპარატი, კლასობრივი ბრძოლის მკვეთრი გამწვავება გარდუვალია.

ამავე დროს საერთაშორისო ასპარეზზე სოციალიზმის სასარგებლოდ მომხდარი ძირეული ძვრებისა და მუშებში, გლეხებში, მშრომელ ინტელიგენციაში სოციალიზმის მიმზიდველი ძალის უდიდესი ზრდის შედეგად იქმნება სულ უფრო ხელსაყრელი პირობები სოციალიზმის გამარჯვებისათვის. მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა კლასს, რომელსაც მეთაურობს მისი მოწინავე ნაწილი, თანამედროვე პირობებში რეალური შესაძლებლობა აქვს გააერთიანოს თავისი ხელმძღვანელობით ხალხის დიდი უმრავლესობა და უზრუნველყოს წარმოების ძირითად საშუალებათა გადასვლა ხალხის ხელში. მემარჯვენე ბურჟუაზიული პარტიები და მათ მიერ შედგენილი მთავრობები სულ უფრო ხშირად კოტრდებიან. ამ პირობებში მუშათა კლასს, გააერთიანებს რა თავის გარშემო მშრომელ გლეხობას, ინტელიგენციის ფართო წრეებს, მთელ პატრიოტულ ძალებს და მტკიცე წინააღმდეგობას გაუწევს რა ოპორტუნისტულ ელემენტებს, რომლებსაც უნარი არ შესწევთ უარი თქვან კაპიტალისტებთან და მემამულეებთან შეთანხმებლობის პოლიტიკაზე, შესაძლებლობა აქვს დაამარცხოს რეაქციული, ანტიხალხური ძალები, მოიპოვოს მტკიცე უმრავლესობა პარლამენტში და გადააქციოს იგი ბურჟუაზიული დემოკრატიის ორგანოდან ხალხის ნამდვილი ნების იარაღად.

ყრილობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სხვა ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვებისათვის უფრო ხელსაყრელი პირობები შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ სოციალიზმმა გაიმარჯვა საბჭოთა კავშირში და იმარჯვებს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. ამ გამარჯვების აუცილებელი პირობა იყო რევოლუციური მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვება, რეფორმიზმის იდეოლოგიის, ოპორტუნიზმის წინააღმდეგ თანმიმდევრულად და მტკიცედ ჩატარებული ბრძოლა.

ყრილობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინაშე აყენებს შემდეგ ამოცანებს საგარეოპოლიტიკურ დარგში:

განუხრელად განახორციელოს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პოლიტიკა, მიუხედავად მათი სოციალური წყობილებისა. აქტიურად იბრძოლოს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის, სახელმწიფოთა შორის ნდობის დამყარებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის მიღწეული შენელების მტკიცე მშვიდობად გადაქცევისათვის.

ყოველი ღონისძიებით განამტკიცოს ძმური ურთიერთობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანასთან, ახსოვდეს,

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

# რეზოლუცია

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო

(მიღებულია ერთხმად 1956 წლის 24 თებერვალს)

(გაგრძელება)

რომ, რაც უფრო დარაზმული და ძლიერი იქნებიან სოციალისტური სახელმწიფოები, მით უფრო საიმედოა მშვიდობის საქმე.

განამტკიცოს მეგობრობა და თანამშრომლობა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მოძმე ხალხებთან.

განამტკიცოს მეგობრობა და თანამშრომლობა ინდოეთის რესპუბლიკასთან, ბირმის კავშირთან, ავღანეთთან, ეგვიპტესთან, სირიასთან, ინდონეზიასთან და სხვა სახელმწიფოებთან, რომლებიც მშვიდობის პოზიციებზე დგანან; მხარი დაუჭიროს იმ ქვეყნებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან იმას, რომ ჩაბმულ იქნან აგრესიულ ბლოკებში; ხელი შეუწყოს ყველა ძალებს, რომლებიც დაინტერესებული არიან მშვიდობის შენარჩუნებით.

განავითაროს და განამტკიცოს მეგობრული ურთიერთობა ფინეთთან, ავსტრიასთან, შვეციასთან და სხვა ნეიტრალურ ქვეყნებთან.

განახორციელოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ინგლისთან, საფრანგეთთან, იტალიასთან, დასავლეთ გერმანიასთან, იაპონიასთან, აგრეთვე მეზობელ სახელმწიფოებთან — ირანთან, თურქეთთან და პაკისტანთან ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესების აქტიური პოლიტიკა, მიაღწიოს ურთიერთნდობის განმტკიცებას, ეკონომიური ურთიერთობის ფართოდ განვითარებას, კულტურისა და მეცნიერების დარგში კონტაქტებისა და თანამშრომლობის გაფართოებას.

განავითაროს და განამტკიცოს საბჭოთა ხალხის ძმური კავშირი ყველა ქვეყნის მშრომელებთან.

ფხიზლად ადევნოს თვალყური იმ წრეების ხრიკებს, რომლებიც დაინტერესებული არ არიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებით, დროზე ამხილოს მშვიდობის მტრების ძირგამომთხრელი მოქმედება. მიიღოს საჭირო ღონისძიებანი ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, იქონიოს ჩვენი თავდაცვა თანამედროვე სამხედრო ტექნიკისა და მეცნიერების დონეზე, უზრუნველყოს ჩვენი სამშობლოს უშიშროება.

## II.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს საბჭოთა კავშირის **საშინაო მდგომარეობის** შემდგომ განმტკიცებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ პარტიის გენერალური ხაზის თანმიმდევრული განხორციელების შედეგად საანგარიშო პერიოდში მიღწეულია საზოგადოებრივი წარმოების ყველა დარგის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ზრდა, კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, გაიზარდა საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება.

პარტიისა და ხალხის უდიდესი გამარჯვება იყო ის, რომ სსრ კავშირის მრეწველობამ ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა მეხუთე ხუთწლიანი გეგმა. 1955 წელს სამრეწველო პროდუქციის წარმოებამ შეადგინა 185 პროცენტი 1950 წლის დონესთან შედარებით ნაცვლად ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 170 პროცენტისა, აქედან წარმოების საშუალებათა წარმოებამ — 191 პროცენტი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 180 პროცენტისა და მოხმარების საგნების წარმოებამ — 176 პროცენტი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 165 პროცენტისა.

ყრილობას საჭიროდ მიაჩნია მთელი სიმტკიცით გაგრძელდეს ბრძოლა მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრების გზით ისტორიულად უმოკლეს ვადაში საბჭოთა კავშირის იმ მთავარი ეკონომიური ამოცანის გადაჭრისათვის, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობებზე დაყრდნობით, დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

კომუნისტურ პარტიას უთუოდ საჭიროდ მიაჩნია კვლავაც უზრუნველყოს მძიმე მრეწველობის, უწინარეს ყოვლისა, შავი და ფერადი მეტალურგიის, ქვანახშირისა და ნავთობის მრეწველობის, ენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის, ქიმიური პროდუქტებისა და საშენი მასალების წარმოების უფრო სწრაფი ზრდა. ამასთან ყრილობას მიაჩნია, რომ საზოგადოებრივი წარმოების ამჟამად მიღწეული დონე საშუალებას გვაძლევს სწრაფი ტემპებით განვავითაროთ არა მარტო წარმოების საშუალებათა, არამედ აგრეთვე სახალხო მოხმარების საგნების წარმოება.

მთელი სამრეწველო წარმოების შემდგომი ზრდის გადამწყვეტი პირობაა მისი განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესი. საჭიროა მტკიცედ და გეგმაზომიერად ვნერგავდეთ მრეწველობაში და ტრანსპორტზე მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების უახლეს მიღწევებს, ვახორციელებდეთ მოქმედი მოწყობილობის მოდერნიზაციას, ვაუმჯობესებდეთ და სრულვყოფდეთ შრომისა და წარმოების ორგანიზაციას, უფრო ფართოდ ვახორციელებდეთ სპეციალიზაციასა და კოოპერირებას მრეწველობაში, ამ საფუძველზე ვაღწევდეთ შრომის ნაყოფიერების სწრაფ გადიდებას, რომელიც წარმოების ზრდისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების დავალებათა შესრულების გადამწყვეტი პირობაა.

ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარება მტკიცედ მოითხოვს ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერგიის ახალი წყაროების გამოყენებას და, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონების უდიდესი ბუნებრივი რესურსების მობილიზაციას.

უახლოეს 10-15 წელიწადში აღმოსავლეთ რაიონებში უნდა შეიქმნას ჩვენი ქვეყნის უდიდესი ბაზა ქვანახშირის ამოღებისა და ელექტროენერგიის წარმოების დარგში, მესამე მძლავრი მეტალურგიული ბაზა 15-20 მილიონი ტონა თუჯის წლიური წარმოებით, აგრეთვე მანქანათმშენებლობის ახალი ცენტრები.

ყრილობა ავალებს ყველა პარტიულ ორგანიზაციას:

უზრუნველყონ, რომ მრეწველობის ყველა დარგმა და საწარმომ სახელმწიფო გეგმიანი დავალებანი შეასრულოს არა მარტო საერთო პროდუქციის მიხედვით, არამედ მთელი დაწესებული ნომენკლატურისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვითაც;

უკეთ გამოიყენონ არსებული საწარმოო სიმძლავრეები, მიაღწიონ იმას, რომ საწარმოები მუშაობდნენ რიტმულად, უნაკლოდ და უიერიშობანოდ, უშვებდნენ პროდუქციას თანაბრად მთელი თვის განმავლობაში, რაც მოითხოვს იმას, რომ სერიოზულად გაუმჯობესდეს დაგეგმვა და საწარმოთა მატერიალური მომარაგება;

გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, სისტემატურად შეამცირონ მისი თვითღირებულება, განახორციელონ მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმი, დანერგონ სამეურნეო ანგარიში;

ფართოდ დანერგონ წარმოებაში ხელოვნური ნედლეული და შემცვლელები, რათა მეექვსე ხუთწლედის განმავლობაში სავსებით შეიცვალოს სინთეზური ნედლეულით კვების პროდუქტები, რომლებიც ტექნიკურ მიზნებს ხმარდება.

საბჭოთა სახელმწიფო წლითიწლობით ადიდებს კაპიტალურ დაბანდებებს სახალხო მეურნეობაში. ეს დაბანდებანი რომ მაქსიმალური ეფექტიანობით გამოვიყენოთ, საჭიროა თანამედროვე ინდუსტრიულ რელსებზე დავაყენოთ სამშენებლო სამუშაოები, განვაგრძოთ მუშაობა დიდი ტერიტორიული სამშენებლო ორგანიზაციების შესაქმნელად, გავაუმჯობესოთ დაპროექტების საქმე, მაქსიმალურად შევამციროთ მშენებლობის ვადები, ფართოდ გამოვიყენოთ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და საქარხნო წარმოების ნაკეთობანი.

საანგარიშო პერიოდში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა გასწია სოფლის მეურნეობის დარგში. ცენტრალურმა კომიტეტმა ქმედითი ღონისძიებანი განახორციელა, რათა აღმოეფხვრა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთელი რიგი დარგების ჩამორჩენა და მოეწყო სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობა.

მიღებულ ღონისძიებათა შორის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია: სოფლის მეურნეობაში დაგეგმვის ახალი წესის შემოღება, რამაც განავითარა კოლმეურნეთა შემოქმედებითი ინიციატივა;

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერება;

კოლმეურნეობათა გაძლიერება ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა კადრებით ქალაქებიდან და სამრეწველო ცენტრებიდან მრავალი ათასი კომუნისტისა და უპარტიო მუშაკის სოფლად გაგზავნის გზით;

სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის შემდგომი გაძლიერება, მტს-ებში მექანიზატორთა მუდმივი კადრების შექმნა და მტს-ების განმტკიცება ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური კადრებით;

სახელმწიფო ასიგნობათა გადიდება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

ამუშავებდა რა სოფლის მეურნეობის აღმავლობის პროგრამას, ცენტრალურმა კომიტეტმა სწორად გადაწყვიტა, რომ პირველ რიგში მთელი ღონისძიებანი წარმართულიყო მარცვლეული მეურნეობის აღმავლობისათვის, რომელიც მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების და, კერძოდ, მისი ისეთი დიდმნიშვნელოვანი დარგის საფუძველია, როგორიც არის მეცხოველეობა. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ყამირი მიწების ათვისებისა და სიმინდის ნათესების მკვეთრი გადიდების შესახებ.

ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს შეუნელებელი ენერგიით განაგრძოს მუშაობა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, დარაზმოს პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი იმისათვის საბრძოლველად, რომ შეიქმნას მოსახლეობისათვის სურსათისა და მსუბუქი მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვე.

საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას შემდგომი მექანიზაცია სოფლის მეურნეობაში, უმოკლეს ვადაში განხორციელდეს ცალკეულ სამუშაოთა მექანიზაციიდან მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსურ მექანიზაციაზე გადასვლა, ძირეულად გაუმჯობესდეს საბჭოთა და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა და მოწინავე კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილების პროპაგანდისა და წარმოებაში დანერგვის საქმე, რათა ამ საფუძველზე მიღწეულ იქნას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე შრომისა და მატერიალური სახსრების ხარჯვის მკვეთრი შემცირება, ყველა კულტურის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება.

ყრილობას მიაჩნია, რომ ამჟამად, როცა ბევრი კოლმეურნეობის ეკონომიური შესაძლებლობანი მნიშვნელოვნად გაიზარდა, საჭიროა, წარმოების ყოველი ღონისძიებით გაფართოებასთან ერთად, რომელიც ყოველთვის პირველ პლანზე უნდა იყოს, სერიოზული ყურადღება მიექცეს კოლმეურნეობებში საცხოვრებელი სახლების, კლუბების, საბავშვო და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების მშენებლობას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი სწრაფი აღმავლობის გადამწყვეტი პირობაა სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონის ამაღლება. საჭიროა ბოლო მოეღოს ამ საქმეში შაბლონს, კანცელარიულ-ბიუროკრატიულ მეთოდებს, გაუპიროვნებასა და უპასუხისმგებლობას. პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ კონკრეტული ხელმძღვანელობა თვითეული რაიონის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, მტს-ისადმი, ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი მასების ინიციატივას, გააძლიერონ სოფლის მეურნეობის მუშაკთა, მათ შორის აგრეთვე ხელმძღვანელი კადრების მატერიალური დაინტერესება სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაფართოებით.

ყრილობა მოუწოდებს პარტიულ, პროფკავშირულ, სამეურნეო, კომკავშირულ ორგანიზაციებს უფრო ფართოდ გააჩაღონ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება, გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა მისადმი, კიდევ უფრო აამაღლონ მუშათა და კოლმეურნეთა შემოქმედებითი ინიციატივა და წარმართონ იგი იმ ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს.

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდამ შექმნა საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობის რეალური შესაძლებლობანი. მეხუთე ხუთწლედში სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი გაიზარდა 68 პროცენტით, მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი გადიდდა 39 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი — ერთნახევარჯერ. ყრილობა სავსებით იწონებს მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასისა და კოლმეურნეთა შემოსავლის შემდგომი გადიდების, მუშაკთა მცირეხელფასიანი ჯგუფებისათვის ხელფასის გადიდების, აგრეთვე შრომის ანაზღაურებაში სათანადო წესრიგის დამყარების, თავისი შრომის შედეგებით მუშაკთა პირადი მატერიალური დაინტერესების გაძლიერების ღონისძიებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შეიმუშავეს.

უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას მეექვსე ხუთწლედის განმავლობაში ყველა მუშისა და მოსამსახურისათვის 7 საათის სამუშაო დღის შემოღების, ხოლო ქვანახშირისა და სამთამადნო მრეწველობის წამყვანი პროფესიების იმ მუშებისათვის, რომლებიც მიწისქვეშა სამუშაოებზე მუშაობენ, აგრეთვე მოზარდებისათვის 6 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ. ამ გადაწყვეტილებით აგრეთვე გათვალისწინებულია გადასვლა, სადაც ეს მიზანშეწონილია წარმოების პირობების მიხედვით, ხუთდღიან სამუშაო კვირაზე (ორი დასვენების დღით 8 საათის სამუშაო დღის პირობებში). უახლოეს დროში განხორციელდება სამუშაო დღის 2 საათით შემცირება შაბათობით და უქმეების წინადღეებში. შემცირებული სამუშაო დღის შემოღება განხორციელდება მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის შეუმცირებლად. ყრილობა ერთსულოვნად იწონებს ამ ღონისძიებებს, რომლებიც სავსებით შეესაბამება სსრ კავშირის მშრომელთა ინტერესებს, და მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ მათ მხურვალე მოწონებით და ახალი შრომითი აღმავლობით შეხვდება მთელი საბჭოთა ხალხი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში.

დიდი მნიშვნელობა აქვს საპენსიო უზრუნველყოფის მოწესრიგებას, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა, რათა მნიშვნელოვნად გადიდდეს პენსიების დაბალი თანრიგების ოდენობა, ხოლო შემცირდეს გაუმართლებლად დიდი პენსიების ოდენობა; ღრმა მოხუც მოქალაქეთა უზრუნველყოფისა და იმ ინვალიდების შრომითი მოწყობის გაუმჯობესებას, რომლებსაც ჯანმრთელობისათვის ზიანის მიუყენებლად შეუძლიათ გასწიონ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა.

მეექვსე ხუთწლედში საბინაო მშენებლობის მოცულობა თითქმის ერთიორად გადიდდება მეხუთე ხუთწლედთან შედარებით. ამასთან დაკავშირებით პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანაა იმ სახსრების სწორი ხარჯვა, რომლებიც საბჭოთა სახელმწიფომ ბინების მშენებლობისათვის გამოჰყო, ყრილობა იწონებს ამ საქმეში წესრიგის დამყარების, კუსტარულობისა და ყოველგვარი არქიტექტურული ზედმეტობის აღმოფხვრის, მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების დანერგვის ღონისძიებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განახორციელეს, და ყველა პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციას ავალებს უზრუნველყონ ბინების მშენებლობის სახელმწიფო გეგმების უთუო შესრულება, აგრეთვე ყოველი ღონისძიებით გაუწიონ დახმარება მუშებსა და მოსამსახურეებს ინდივიდუალური წესით მათი პირადი დანაზოგით სახლების მშენებლობაში.

ყრილობას საჭიროდ მიაჩნია მოსახლეობის ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საჭიროებებისადმი ყურადღების გადაჭრით გაძლიერება, საზოგადოებრივი კვების ქსელის შემდგომი გაფართოება, კვების გაიაფება და მისი ხარისხის გაუმჯობესება. უნდა გაფართოვდეს აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა — სამრეცხაოების, სამკერვალო ატელიეების, სარემონტო სახელოსნოების და სხვ. ქსელი, მკვეთრად გადიდდეს იმ მანქანებისა და ნაწარმის დამზადება, რომლებიც ამსუბუქებენ საოჯახო შრომას.

სერიოზული წარმატებებია მიღწეული კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. ყველგან განხორციელებულია საყოველთაო შვიდწლიანი, ხოლო დიდ ქალაქებში — ათწლიანი სწავლება. იქმნება საყოველთაო ათწლიანი სწავლების თანდათანობით შემოღების პირობები. მნიშვნელოვნად გაფართოვდა სპეციალისტთა მომზადება ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში. პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი და ქმედითი მხარდაჭერით საბჭოთა მეცნიერებმა, რომლებიც ნაყოფიერად მუშაობენ სახალხო მეურნეობის განვითარებისა და ჩვენი სამშობლოს უშიშროების განმტკიცებისათვის, შესანიშნავ შედეგებს მიაღწიეს მეცნიერების მთელ რიგ დარგებში, მათ შორის ატომგულის ფიზიკაში, მათემატიკაში, მექანიკაში, ტექნიკურ მეცნიერებათა ზოგიერთ დარგში.

ამასთანავე ყრილობა აღნიშნავს სერიოზულ ნაკლოვანებებს კულტურული მშენებლობის დარგში. სკოლის მუშაობაში ყველაზე დიდი ნაკლია ის, რომ სწავლება რამდენადმე მოწყვეტილია ცხოვრებას, სკოლადამთავრებულნი საკმაოდ მომზადებული არ არიან პრაქტიკული საქმიანობისათვის. სკოლის პოლიტექნიზაციის უსწრაფესი განხორციელებისათვის საჭიროა არა მარტო ის, რომ შემოვიღოთ ახალი საგნები, რომლებიც იძლევიან სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკითხებზე ცოდნის საფუძვლებს, არამედ პრაქტიკულადაც მივაჩვიოთ მოსწავლენი შრომას საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საცდელ ნაკვეთებზე და სასკოლო სახელოსნოებში. მიზანშეწონილია შევუდგეთ სკოლა-ინტერნატების შექმნას, მოვაწყოთ ეს სკოლა-ინტერნატები ბავშვთა ჯანმრთელობისათვის ხელსაყრელ ადგილას. მნიშვნელოვნად უნდა გავაფართოოთ სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებათა ქსელი, ჩავაბათ ამ საქმეში არა მარტო სახალხო განათლების ორგანოები და სახელმწიფო საწარმოები, არამედ კოლმეურნეობებიც.

უმაღლესი განათლების დარგში მთავარი ამოცანებია ის, რომ ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ სპეციალისტთა მომზადების ხარისხი სწავლისა და წარმოების მჭიდრო კავშირის საფუძველზე, სწორად განვალაგოთ უმაღლესი სასწავლებლები ჩვენს ქვეყანაში, მივუახლოოთ ისინი წარმოებას, სასწავლო მუშაობა დავაყენოთ ტექნიკის თანამედროვე დონის შესაბამისად. საჭიროა, რომ ახალგაზრდა ინჟინრებსა და აგრონომებს, სასწავლებლების დამთავრებისას ჰქონდეთ საკმაო ცოდნა კონკრეტული ეკონომიკისა და წარმოების ორგანიზაციის დარგში.

ყრილობას საჭიროდ მიაჩნია ყოველი ღონისძიებით განმტკიცდეს ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებათა კავშირი წარმოებასთან, სახალხო მეურნეობის კონკრეტულ მოთხოვნილებებთან, მათი შემოქმედებითი ღონისძიებანი წარიმართოს ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადასაწყვეტად, განუხრელად ამაღლდეს მეცნიერების როლი კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში.

ყრილობას საანგარიშო პერიოდში კომუნისტური პარტიის მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შედეგად მიაჩნია საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების შემდგომი განმტკიცება, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირის, სსრ კავშირის ყველა ხალხის მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის კიდევ უფრო განმტკიცება.

ყრილობა სავსებით იწონებს ღონისძიებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა რესპუბლიკური ორგანოების უფლებათა გასაფართოებლად სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. შევუნარჩუნებთ რა საკავშირო სამინისტროებს საერთო ხელმძღვანელობას, საგეგმო დავალებათა განსაზღვრას, მათი შესრულებისადმი კონტროლს, მოწყობილობით მომარაგებას, კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას, ამავე დროს საჭიროა შემდგომ გავაფართოოთ რესპუბლიკურ სამინისტროთა უფლებები საწარმოთა ყოველდღიურ მართვაში. ეს ხელს შეუწყობს ადგილებზე შემოქმედებითი ინიციატივის კიდევ უფრო განვითარებას, მოკავშირე რესპუბლიკების შემდგომ განმტკიცებას, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას.

თავის ეროვნულ პოლიტიკაში პარტია ეყრდნობოდა და ეყრდნობა ლენინურ დებულებას, რომ სოციალიზმი არათუ არა სპობს ეროვნულ განსხვავებებსა და თავისებურებებს, არამედ, პირიქით, უზრუნველყოფს ყველა ერისა და ეროვნების ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივ განვითარებასა და აყვავებას. პარტია კვლავაც უაღრესი ყურადღებით უნდა ითვალისწინებდეს ამ თავისებურებებს მთელ თავის პრაქტიკულ მუშაობაში.

კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანები მოითხოვენ მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის შემდგომ ამაღლებას, მასების კიდევ უფრო ფართო მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში, მთელ მის ორგანიზატორულ-სამეურნეო საქმიანობაში. ამისათვის საჭიროა ყოველი ღონისძიებით ვავითარებდეთ საბჭოთა დემოკრატიზმს, გულმოდგინედ ვაუმჯობესებდეთ ყველა საბჭოთა ორგანოს მუშაობას ცენტრში და ადგილებზე, განვამტკიცებდეთ მათს კავშირს მასებთან. იწონებს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ წლებში გაწეულ მუშაობას ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შემცირებისა და გაიაფებისათვის, მისი ყველა რგოლის საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, ყრილობას საჭიროდ მიაჩნია გაგრძელდეს ეს მუშაობა, კვლავაც წარმოებდეს შეურიგებელი ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, მოსახლეობის საჭიროებებისადმი უყურადღებო დამოკიდებულების ფაქტების წინააღმდეგ.

ყრილობა სავსებით იწონებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისათვის, მოქალაქეთა იმ უფლებების მტკიცედ დაცვისათვის, რომლებიც გარანტირებულია საბჭოთა კონსტიტუციით, და ავალებს ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანოს ფხიზლად იდგნენ კანონიერების სადარაჯოზე, გადაჭრით და მკაცრად აღკვეთონ უკანონობის, თვითნებობის ყოველგვარი გამოვლინებანი, სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო კვლავაც უნდა ზრდიდნენ კომუნისტებსა და ყველა მშრომელს მაღალი პოლიტიკური სიფხიზლის სულისკვეთებით, დაუცხრომლად განამტკიცებდნენ ჩვენს მამაც შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც საიმედოდ იცავენ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შრომასა და სოციალისტური სამშობლოს უშიშროებას.

## III.

ჩვენმა პარტიამ ახალ დიდ წარმატებებს მიაღწია XIX-დან XX ყრილობამდე განვლილ პერიოდში იმის მეოხებით, რომ მთელ თავის საშინაო და საგარეო პოლიტიკასა და პრაქტიკულ საქმიანობაში იგი ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრებით, მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისა და საერთაშორისო სოციალისტური ბანაკის განმტკიცების კურსს, მაღლა უჭირავს პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა შორის მეგობრობის დროშა.

XIX ყრილობის შემდეგ განვლილი პერიოდი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძლიერებისა და ავტორიტეტის შემდგომი ზრდის, პარტიის ლენინური ერთიანობის განმტკიცების, საბჭოთა საზოგადოებაში მისი ხელმძღვანელი როლის ამაღლების პერიოდი. პარტია კიდევ უფრო განმტკიცდა იდეურ-პოლიტიკურად და ორგანიზაციულად, გაძლიერდა პარტიული მასების მარქსისტულ-ლენინური წრთობა. მნიშვნელოვნად გაიზარდნენ პარტიის კადრები — პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის გადამწყვეტი ძალა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა აღნიშნავს, რომ რთული და პასუხსაგები ამოცანების პირობებში, რომლებიც პარტიისა და ჩვენი ქვეყნის წინაშე დაისახა პარტიის XIX ყრილობის შემდეგ, ცენტრალური კომიტეტი აღმოჩნდა ჯეროვან სიმაღლეზე, სწორად წყვეტდა პარტიული, სახელმწიფოებრივი და სამეურნეო მშენებლობის მომწიფებულ საკითხებს, მტკიცე რწმენით მიჰყავდა ჩვენი ქვეყანა ლენინური გზით.

ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ცენტრალური კომიტეტი მთელ თავის საქმიანობაში ურყევად იდგა პარტიისა და ხალხის ინტერესების სადარაჯოზე. ყრილობა სავსებით იწონებს გადამწყვეტ ღონისძიებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო პარტიისა და ხალხის საშიში მტრის ბერიასა და მისი ბანდის დანაშაულებრივი შეთქმულებითი საქმიანობის აღსაკვეთად. ამით სერიოზული ლახვარი ჩაეცა იმპერიალისტურ დაზვერვათა გეგმებს, მიღწეულ იქნა პარტიის ბრძოლისუნარიანობის შემდგომი განმტკიცება.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

# რეზოლუცია

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისა

### საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო

(მიღებულია ერთხმად 1956 წლის 24 თებერვალს)

(დასასრული)

ყრილობა მთლიანად იწონებს პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენისათვის, შინაპარტიული დემოკრატიის განვითარებისათვის, მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპების დანერგვისათვის, პარტიული მუშაობის სტილისა და მეთოდების გაუმჯობესებისათვის ცენტრალური კომიტეტის მიერ გაწეულ დიდ მუშაობას. ბრძოლამ პარტიული ცხოვრების დემოკრატიული საფუძვლების დაცვისათვის, ადმინისტრირების წინააღმდეგ და ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატიული მეთოდების წინააღმდეგ, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღებისათვის უზრუნველყო პარტიული მასების აქტივობის გაძლიერება, პარტიის საქმისათვის კომუნისტების პასუხისმგებლობის გაძლიერება, მშრომელთა ახალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა.

კომუნისტებისა და ყველა მშრომელის აქტივობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიაში პიროვნების როლის მარქსისტულ-ლენინური გაგების ფართოდ განმარტებას. ყრილობას მიაჩნია, რომ ცენტრალური კომიტეტი სავსებით სწორად გამოვიდა პიროვნების კულტის წინააღმდეგ, რომლის გავრცელება ამცირებდა პარტიისა და ხალხის მასების როლს, ამცირებდა პარტიაში კოლექტიური ხელმძღვანელობის როლს და ხშირად იწვევდა სერიოზულ შეცდომებს მუშაობაში, და ავალებს ცენტრალურ კომიტეტს არ შეასუსტოს ბრძოლა პიროვნების კულტის ნაშთების წინააღმდეგ, მთელ თავის მოღვაწეობას საფუძვლად დაუდოს ის, რომ ახალი ცხოვრების ნამდვილი შემოქმედები არიან ხალხის მასები, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს.

პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენის, შინაპარტიული დემოკრატიის განვითარების, ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპის დაცვის და პიროვნების კულტის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგად ცენტრალურმა კომიტეტმა უზრუნველყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, გამოავლინა სოციალისტური კანონიერების დარღვევები და მიიღო საჭირო ღონისძიებანი მათ გამოსასწორებლად, მოუწოდა თვითკმაყოფილებისა და განცხრომის განწყობილებათა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ და დარაზმა მთელი პარტია, ყველა ჩვენი პარტიული და უპარტიო მუშაკი საბჭოთა საზოგადოების განვითარების ტემპების დაჩქარებისათვის, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ შემდგომი წარმატებითი წინსვლა, საჭიროა კვლავაც ვიყოლიოთ პარტიული რიგები მაღალი ბრძოლისუნარიანობის მდგომარეობაში, დაუცხრომლად ვაუმჯობესოთ და სრულვყოთ მთელი ჩვენი პარტიული მუშაობა. ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს მიიღოს პარტიის მთელი ორგანიზაციული მუშაობის და უწინარეს ყოვლისა სამეურნეო მშენებლობის დარგში ორგანიზატორული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი. პარტიული ორგანიზაციები მკვეთრად უნდა მობრუნდნენ სამეურნეო მშენებლობისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობის საკითხებისაკენ, გააძლიერონ სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ტექნიკისა და ეკონომიკის შესწავლა, რათა საქმის ღრმა ცოდნით უხელმძღვანელონ მათ მუშაობას.

ორგანიზაციული მუშაობის დონე გადამწყვეტად არის დამოკიდებული შესრულების შემოწმების საქმის დაყენებაზე, კადრების შერჩევასა და აღზრდაზე და სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვადასხვა უბნებში კომუნისტების განაწილებაზე. ყრილობას საჭიროდ მიაჩნია გაძლიერდეს ყურადღება ახალგაზრდა კადრების დაწინაურებისადმი, ქალების დაწინაურებისადმი, წარმოებაში მომუშავე კომუნისტთა რიცხვის გადიდებისადმი.

ყრილობას არასწორად მიაჩნია ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის მიერ ყურადღების შესუსტება პარტიის ზრდის რეგულირების საქმისადმი. იმის გამო, რომ მთავარია პარტიული რიგების არა რაოდენობრივი, არამედ თვისებრივი ზრდა, ყრილობა ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს გააძლიერონ ზრუნვა პარტიაში მოწინავე ადამიანთა ინდივიდუალური შერჩევისათვის, უწინარეს ყოვლისა მუშებიდან და კოლმეურნეებიდან.

ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს განაგრძოს მუშაობა პარტიული და საბჭოთა ორგანოების საქმიანობის ორგანიზაციული სტრუქტურისა და ფორმების გაუმჯობესებისათვის შეცვლილი ვითარების შესაბამისად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რაიონული რგოლის შემდგომ განმტკიცებას. ყრილობა აღნიშნავს დიდ მუშაობას, რომელიც პარტიამ ამ დარგში გასწია, სწორად მიაჩნია, რომ განხორციელდა პარტიის სასოფლო რაიკომების სტრუქტურის გარდაქმნა, შეიქმნა ინსტრუქტორთა ჯგუფები, რომლებსაც სათავეში უდგანან რაიკომების მდივნები მტს-ების ზონებში.

მიუხედავად ამისა, ბევრი რაიონული ორგანიზაციის მუშაობის დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება პარტიის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. ეს იმით აიხსნება, რომ მთელ რიგ რაიონებში პარტიის რაიკომების მდივნებად და ინსტრუქტორებად მტს-ების ზონებში დამტკიცებული არიან სუსტი მუშაკები, რომლებსაც არა აქვთ საჭირო საქმიანი და პოლიტიკური თვისებები.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყნის წინაშე დაისახა სოფლის მეურნეობის აღმავლობის უდიდესი ამოცანები, გამოცდილი და უნარიანი კადრებით რაიონული ორგანიზაციების განმტკიცებას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. რაიონული მუშაკები ამჟამად მუშაობენ უშუალოდ სასოფლო პირველად პარტორგანიზაციებში, მტს-ებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, რაზმავენ სოფლის მეურნეობის მშრომელებს პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესასრულებლად. ეს

[illegible]

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

# ყრილობის დღიური

## 23 თებერვლის დილის სხდომა

ყრილობის დილის სხდომაზე, რომელიც ამხ. გ. ე. ბურკაცკაიას თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, გრძელდებოდა განხილვა ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის თაობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების შესახებ.

სიტყვა ეძლევა ამხ. **ნ. ი. ბობროვნიკოვს** (მოსკოვის პარტორგანიზაცია).

მოსკოვის მშრომელებმა, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, თქვა მან, ერთსულოვნად მოიწონეს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივების პროექტი, რომელიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა.

მოსკოვის საქალაქო მეურნეობაში შექმნილია დიდი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს დედაქალაქის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება. მაგალითად, გასულ წელს 1940 წელთან შედარებით გაზის ხარჯვა საყოფაცხოვრებო მოხმარებისათვის ერთ მცხოვრებზე გადიდდა რვაჯერ, ელექტროენერგიისა — 54 პროცენტით, წყლისა — 68 პროცენტით, თითქმის გაორკეცდა საქონელბრუნვა. გასულ წელს აშენდა 1.065 ათასი კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი.

მეექვსე ხუთწლედში დედაქალაქის რეკონსტრუქციისათვის დასახულია დაიხარჯოს 25 მილიარდ მანეთზე მეტი. მნიშვნელოვნად გადიდდება საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების მშენებლობა.

შემდეგ გამოდის ამხ. **ა. ნ. კოსიგინი.** პარტია და მთავრობა, ამბობს იგი, უზრუნველყოფენ რა მძიმე ინდუსტრიის უპირატეს ზრდას, შეუნელებელ ყურადღებას აქცევენ სოფლის მეურნეობის აღმავლობას და მსუბუქი და კვების მრეწველობის ყველა დარგის განვითარებას. XX ყრილობის დირექტივების პროექტით გათვალისწინებულია მოხმარების საგნების წარმოების ზრდა ახალ ხუთწლედში დაახლოებით 60 პროცენტით.

ყველა ქსოვილის წარმოება გადიდდება 9.263 მილიონ მეტრით. ფეხსაცმლის გამოშვება 1960 წელს მიაღწევს 455 მილიონ წყვილს. ხუთწლედის დამლევისათვის შეკერილი ნაწარმი დამზადდება ერთნახევარჯერ მეტი. შაქრის გამომუშავება ერთიორად გადიდდება. ეს სავსებით უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნილებას შაქარზე და შესაძლებელს გახდის ფართოდ გავაჩაღოთ საკონდიტრო და სხვა საქონლის გამოშვება.

ამხ. კოსიგინი შემდეგ ლაპარაკობს იმ მანქანათმშენებელ საწარმოთა ამოცანებზე, რომლებიც მოწყობილობას აწვდიან მსუბუქ და კვების მრეწველობას, გამოთქვამს ზოგიერთ მოსაზრებას კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის გაუმჯობესებისათვის. უფრო სწორი იქნება, ამბობს იგი, ნაცვლად კაპიტალდაბანდებათა ერთი წლით დაგეგმვის არსებული წესისა შემოვიღოთ ამა თუ იმ ობიექტის მთელი მშენებლობის დაგეგმვა მის დამთავრებამდე. სახსრების გაცემა მიზანშეწონილია წარმოებდეს მათი ათვისების მიხედვით, წლიურ დანიშნულებათაგან დამოუკიდებლად. ასეთ პირობებში მშენებლობა უფრო სწრაფად და იაფად განხორციელდება.

ამხ. **კ. პ. ორლოვსკი** (ბელორუსიის პარტორგანიზაცია) ამბობს, რომ საბჭოთა ხალხი დიდი სიხარულით შეხვდა და მოიწონა პროექტი პარტიის XX ყრილობის დირექტივებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

ორატორი ლაპარაკობს სასოფლო-სამეურნეო არტელ „განთიადის“ კოლმეურნეთა მუშაობაზე, მომავლის გეგმებზე. კოლმეურნეობა აერთიანებს 1.200-ზე მეტ კომლს და აქვს 9.000 ჰექტარი მიწა. იგი დიდ შემოსავალს იღებს მეურნეობის ყველა დარგიდან.

1955 წელს შრომადღეზე გაცემულია 30 მანეთი ფულად, 3 კილოგრამი მარცვლეული, 10 კილოგრამი კარტოფილი და სხვ.

შემდეგ ამხ. ორლოვსკი ეხება მშენებლობის საკითხებს. სამი პატარა სოფელი გადააქვთ ცენტრალურ დასახლებულ პუნქტში. ახალ ადგილას კოლმეურნეები პირადი სახსრებით იშენებენ კარგ სახლებს. კოლმეურნეობა დახმარებას უწევს მათ. დიდი ფულადი შემოსავალი საშუალებას იძლევა არტელის სახსრების ნაწილი მოხმარდეს კოლმეურნეთა სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების აგებას, ქუჩების მოასფალტებას.

შემდეგ გამოდის ამხ. **ნ. კ. ბაიბაკოვი.** ახასიათებს რა მეექვსე ხუთწლედის შესახებ ყრილობის დირექტივების პროექტის შემუშავების თავისებურებებს, იგი ამბობს, რომ ამ მუშაობაში ფართო მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა, რომლებმაც ბევრი ძვირფასი წინადადება შეიტანეს.

შემდეგ ამხ. ბაიბაკოვი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერების გადიდებას ახალი ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. ხუთწლედის მასშტაბით შრომის ნაყოფიერების მხოლოდ ერთი პროცენტით გადიდება შესაძლებელს გახდის, რომ მუშახელზე მოთხოვნილება შევამციროთ 165 ათასზე მეტი კაცით, უზრუნველვყოთ ქვანახშირის ამოღების გადიდება წლიწადში 4 მილიონი ტონით, ელექტროენერგიის გამომუშავება — 1.300 მილიონი კილოვატსაათით. სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების ერთი პროცენტით შემცირება 1960 წელს მოგვცემს 10 მილიარდ მანეთ ეკონომიას. ორატორი ამბობს, რომ საჭიროა განხორციელდეს გადამწყვეტი ღონისძიებანი ნედლეულისა და მასალების ხარჯვის ნორმების შესამცირებლად. ფართოდ დაინერგოს წარმოებაში შემცვლელები, დაიწყოს უფრო გადამწყვეტი ბრძოლა წარმოების დანაკარგებთან, უკეთ იქნას გამოყენებული მოქმედი სიმძლავრეები, დაინერგოს მრეწველობის სპეციალიზაცია და კოოპერირება. ამხ. ბაიბაკოვმა სწორად ცნო კრიტიკა, რომელიც ყრილობის დელეგატებმა გამოთქვეს სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და სახელმწიფო ეკონომიური კომისიის მიმართ, განსაკუთრებით მრეწველობის სპეციალიზაციისა და კოოპერირების დარგში.

ახლა სახელმწიფო საგეგმო კომისიის კოლექტივის წინაშე, თქვა დასასრულ ორატორმა, დგას დიდი ამოცანები ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების პერსპექტიული გეგმის შესადგენად რამდენიმე ხუთწლედისათვის. ამ გეგმის მიზანი უნდა იყოს უდიდესი სახალხო-სამეურნეო პრობლემების ყველაზე რაციონალური გადაჭრის უზრუნველყოფა; ამ გეგმაში აისახება მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემასთან სოციალისტური სისტემის ეკონომიური შეჯიბრების პრობლემის კონკრეტული შემუშავება.

ამხ. **ტ. ს. მალცევმა** (კურგანის პარტორგანიზაცია) ილაპარაკა იმაზე, რომ საჭიროა ფილოსოფიურ და ეკონომიურ მეცნიერებას მეტი კავშირი ჰქონდეს სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკასთან.

შემდეგ ამხ. მალცევი კონკრეტული მაგალითებით ცხადყოფს, თუ რა უდიდესი უპირატესობა აქვს ნიადაგის დამუშავების ახალ სისტემას, რომელსაც იყენებენ კურგანის ოლქის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“.

მიწათმოქმედების კულტურის შემდგომი ამაღლება, ამბობს დასასრულ ამხ. მალცევი, მოითხოვს სერიოზულად შეიცვალოს და გაუმჯობესდეს ნიადაგის დასამუშავებელი მთელი რიგი იარაღების კონსტრუქცია, აგრეთვე შექმნას ახალი, აგრონომიული მეცნიერებისა და სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის მოთხოვნების შესაბამისი იარაღები. აგროტექნიკა კი არ უნდა შევუგუოთ არსებულ მანქანებს, არამედ მანქანები უნდა შევქმნათ აგროტექნიკის მოთხოვნათა შესაბამისად. ამისათვის კონსტრუქტორები მინდვრებს მოწყვეტილი არ უნდა იყვნენ. საჭიროა, რომ ისინი მუშაობდნენ მტს-ებში, თანამშრომლობდნენ ინჟინრებთან, ტრაქტორისტებთან, კომბაინერებთან და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტებთან.

ამხ. **ვ. ა. მალიშევი** თავის სიტყვაში შეეხო ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში ტექნიკური პროგრესის პრობლემებს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი, აღნიშნა ორატორმა, მიგვითითებს ჩვენი დროის იმ თავისებურებებზე, რომლებიც მოითხოვენ წინანდელზე მეტ ყურადღებას მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებისადმი. ახლა მეცნიერება და ტექნიკა წინანდელზე უფრო სწრაფად ვითარდება და მათი განვითარების ტემპები სულ უფრო ჩქარდება. ეს კი მოითხოვს დაუყოვნებლივ გამოვიყენოთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში წარმოების გასადიდებლად და გასაიაფებლად.

დამპროექტებელი ინჟინრები, ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. მალიშევი, მოვალენი არიან გაბედულად და ფართო მასშტაბებით გამოიყენონ თანამედროვე ტექნიკა ახალ სამრეწველო საწარმოთა დაპროექტებისას და ამით დაზოგონ ბევრი და ბევრი მილიარდი მანეთი სახალხო მეურნეობისათვის.

ამხ. **ბ. პ. ბეშჩევი** ამბობს, თუ რა უდიდესი სამუშაოებია დასახული დირექტივების პროექტით რკინიგზის ტრანსპორტის განვითარებისათვის. ხუთწლედის დამლევისათვის ელექტრომავლები და თბომავლები შეასრულებენ მთელი ტვირთბრუნვის 45 პროცენტს ნაცვლად გასული წლის 14 პროცენტისა. ელექტროწევაზე გადაყვანილ იქნება 8 ათას კილომეტრზე მეტი რკინიგზის ხაზები, მათ შორის ძირითადი მაგისტრალები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ცენტრს აკავშირებენ ურალთან, ციმბირთან და დონბასთან. თბომავლის წევაზე გადაყვანილ იქნება 18 ათასი კილომეტრი რკინიგზის ხაზები.

დირექტივების პროექტი ითვალისწინებს სალიანდაგო მეურნეობის რეკონსტრუქციის შემდგომ გაძლიერებას. დაიგება 65 ათასი კილომეტრი ახალი რელსები, მათ შორის 58 ათასი კილომეტრი მძიმე ტიპისა. დასახულია ახალი რკინიგზის ხაზებისა და მეორე ლიანდაგების მშენებლობა.

ორატორი ამბობს, რომ ამხ. ხრუშჩოვმა და ყრილობის ზოგიერთმა დელეგატმა სამართლიანად გააკრიტიკეს რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის ნაკლოვანებანი. გზათა სამინისტრო განახორციელებს ღონისძიებებს ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

დილის სხდომაზე ყრილობას მიესალმნენ საზღვარგარეთის კომპარტიების მთელი რიგი წარმომადგენლები, რომლებსაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ.

ამხ. **ა. ლარსენმა** დანიის კომუნისტური პარტიის სახელით თქვა: თქვენი ყრილობა ცოცხალი დადასტურებაა სოციალიზმის უდიდესი პროგრესისა საბჭოთა კავშირში, მისი უპირატესობისა კაპიტალიზმის სისტემასთან შედარებით. მან ერთხელ კიდევ დაადასტურა ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირი მძლავრი ძალაა მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის ბრძოლაში საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობისა და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისათვის.

საბჭოთა კავშირი, განაგრძო ამხ. ლარსენმა, ყოველთვის გვევლინებოდა როგორც დანიისა და დანიელი ხალხის მეგობარი, ყოველთვის პატივს სცემდა ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს, ეხმარებოდა მას დაეცვა ეს სუვერენიტეტი და არასოდეს არ ჩარეულა ჩვენი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში. აი ამიტომ სავსებით ნათელია, რომ დანიის ადგილია არა ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო კავშირში, რომელიც მიმართულია უწინარეს ყოვლისა სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ, არამედ ნეიტრალური ერების რიგებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას მხურვალე ძმური სალამი გადასცა ინდოეთის კომპარტიისაგან ამხ. **აჯოი კუმარ გჰოშმა.**

აღმოსავლეთის ხალხებს, თქვა მან, რომლებმაც მოიცილეს კოლონიალიზმის უღელი და თავიანთი ეკონომიკის აღდგენას ესწრაფვიან, საბჭოთა კავშირი მიაჩნიათ ერთგულ მოკავშირედ, საიმედო და უანგარო მეგობრად და ძმად, რომელიც დახმარებას იძლევა რაიმე პოლიტიკური ვალდებულების დაუკისრებლად.

ამხანაგების ბულგანინისა და ხრუშჩოვის მოგზაურობა ინდოეთში, აღნიშნავს შემდეგ ამხ. გჰოში, გადაიქცა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნულ დღესასწაულად, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ყველა კლასმა, ყველა პარტიამ და ხალხის ყველა ფენამ. ეს დღესასწაული უაღრესად ფართო ტიპის ეროვნული ერთიანობის დადასტურება იყო.

ინდოელი ხალხი დიდად აფასებს გოას და ქაშმირის საკითხში საბჭოთა კავშირის პოზიციას, რომელიც მკვეთრად ეწინააღმდეგება ამერიკელი იმპერიალისტების პოზიციას. ეს ფაქტი უჩვენებს ჩვენს ხალხს, თუ ვინ არის მისი ჭეშმარიტი მეგობარი.

ნ. ა. ბულგანინის, ნ. ს. ხრუშჩოვისა და ჯ. ნერუს ერთობლივი განცხადება და ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კომუნიკე უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტებია. ისინი უდიდეს წვლილს წარმოადგენენ აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეში.

ინდოელი ხალხის წინაშე, ამბობს დასასრულ ამხ. გჰოში, დგას ძნელი ამოცანები კოლონიალიზმის მემკვიდრეობის ლიკვიდაციის გზაზე, ხალხის მასებისათვის უზრუნველყოფილი, ბედნიერი ცხოვრების შექმნის გზაზე. მაგრამ ჩვენი პარტია დარწმუნებულია, რომ, დაეყრდნობა რა ფართო ეროვნულ ერთიანობას, რომელიც მოიცავს ყველა პარტიის, კლასებისა და მოსახლეობის ფენების დემოკრატიულ და პატრიოტულ ძალებს, დიდი ინდოელი ხალხი შეძლებს განახორციელოს ეს ამოცანები.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მსოფლიოს სამი დიდი ქვეყნის — სსრ კავშირის, ჩინეთისა და ინდოეთის მეგობრობა განუხრელად გაიზრდება როგორც მთელი მსოფლიოს მშვიდობის უაღრესად მძლავრი ფაქტორი.

მიესალმა რა ყრილობას ნორვეგიის კომპარტიის სახელით, ამხ. **ე. ლევლიენმა** თქვა:

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხალხმა თავიანთი წარმატებებითა და გამარჯვებებით ავტორიტეტი და პატივისცემა მოიპოვეს კაპიტალისტური ქვეყნების ხალხებში. ჩვენი ქვეყნის სულ უფრო მეტი და მეტი ადამიანი აღიარებს, რომ წარმოების უდიდესი ზრდა საბჭოთა კავშირში მოწმობს სოციალისტური სისტემის უპირატესობას კაპიტალისტურთან შედარებით მათს მშვიდობიან შეჯიბრებაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელმაც სინამდვილედ აქცია მარქსისტული თეორია, შთაგონების მძლავრი წყაროა კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიებისათვის.

ამხ. **დ. ენსინა** ყრილობას მხურვალედ მიესალმა მექსიკის კომპარტიის სახელით.

მექსიკელი ხალხი, თქვა მან, იცავს რა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის თავის ტრადიციებს, იბრძვის მექსიკის ნამდვილად დამოუკიდებელი ეროვნული განვითარებისათვის და შეძლებს მოიპოვოს გამარჯვება. ჩვენმა ხალხმა იცის, რომ სამართლიანი საქმისათვის თავის ბრძოლაში იგი მარტო როდია. მასთან ერთად არის მსოფლიოს ყველა ხალხი და, განსაკუთრებით, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის დიდი ბანაკი, რომელსაც ღირსეულად მეთაურობს დიდი და საყვარელი საბჭოთა კავშირი.

დილის სხდომაზე გამოქვეყნდა აგრეთვე თურქეთის, ალჟირისა და კოლუმბიის კომპარტიების წერილობითი მისალმებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისადმი.

(საქტასი).

პარლამენტის ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

## კამათი სკკპ ცენტრალური კომიტეტის — ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის — ამხანაგ პ. გ. მოსკატოვის საანგარიშო მოხსენებათა გამო

### ამხანაგ ა. ი. მიქოიანის სიტყვის დასასრული

(დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 46).

1918-1920 წლების სამოქალაქო ომის ზოგიერთ რთულ და წინააღმდეგობრივ ამბებს ზოგი ისტორიკოსი ხსნის არა დროის ცალკეულ მონაკვეთზე კლასობრივი ძალების თანაფარდობის ცვლილებებით, არამედ მაშინდელი ცალკეული პარტიული ხელმძღვანელების თითქოს მავნებლური საქმიანობით, ხელმძღვანელებისა, რომლებიც აწერილი ამბების მრავალი წლის შემდეგ არასწორად იყვნენ გამოცხადებულნი ხალხის მტრებად.

ერთი მოსკოველი ისტორიკოსი იქამდეც კი მივიდა, რომ შემდეგი თქვა: უკრაინელ პარტიულ ხელმძღვანელთა შორის ამხ. ანტონოვ-ოვსეენკო ან ამხ. კოსიორი რომ არ ყოფილიყვნენ, შესაძლოა, მახნოვშჩინა და გრიგორიევშჩინა არ იქნებოდა, პეტლიურას ცალკეულ პერიოდებში წარმატება არ ექნებოდა, არ იქნებოდა აგრეთვე გატაცება კომუნების დანერგვით (უნდა ითქვას, რომ ეს მოვლენა იმ დროს არა მარტო უკრაინული, არამედ საერთო იყო პარტიისათვის) და, წარმოიდგინეთ, უკრაინაში ერთბაშად აღებული იქნებოდა ის ხაზი, რომელზეც მთელი პარტია და ჩვენი ქვეყანა ნეპის შედეგად გადავიდნენ.

ასეთ ისტორიულ ნაჯღაბნს მარქსისტულ ისტორიასთან საერთო არა აქვს რა. ეს უფრო ჰგავს ისტორიული მოვლენების იდეალისტურ, ესერულ განმარტებას. ვფიქრობ, რომ გამოჩნდებიან უკრაინელი ისტორიკოსები, რომლებიც დაწერენ უკრაინის სოციალისტური სახელმწიფოს წარმოშობისა და განვითარების ისტორიას ზოგიერთ მოსკოველ ისტორიკოსზე უკეთ, რომლებმაც ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს, მაგრამ რომლებსაც, შესაძლოა, ამ საქმისათვის არც უნდა მოეკიდნათ ხელი. (**სიცილი დარბაზში**).

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ჩვენს **ფილოსოფოსებზე**, მაგრამ მათ თვითონაც უნდა გაიგონ, რომ უკეთეს მდგომარეობაში არ არიან, არამედ უფრო მეტ ვალშიც არიან პარტიის წინაშე, ვიდრე ისტორიკოსები და ეკონომისტები.

მინდა შევეხო ჩვენს **იურისტებსაც**. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა იურიდიული მეცნიერება, საკანონმდებლო და საპროცესო ნორმები საბჭოთა ხელისუფლების პირველ პერიოდში, ლენინის სიცოცხლის დროს და მისი გარდაცვალების რამდენიმე წლის შემდეგ, უფრო ჩქარა ვითარდებოდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების, პროლეტარული სოციალისტური კანონიერების საფუძვლების შესაბამისად, რომლებმაც სწორი ასახვა ჰპოვა ჩვენი პარტიის პროგრამაში. ეს არ შეიძლება ითქვას უფრო გვიანდელ პერიოდზე, და ამან გამოიწვია კანონიერი შეშფოთება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, რომელმაც საჭიროდ მიიჩნია დაუყოვნებლივ ჩარეულიყო ამ საქმეში მდგომარეობის გამოსასწორებლად, ამასთან ემყარებოდა იმას, რომ საჭიროა მთელი თავისი სისრულით განმტკიცდეს ლენინური სოციალისტური კანონიერება, რის შესახებაც ნათქვამია ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში.

ჩვენმა ქვეყანამ ეკონომიურად და პოლიტიკურად გიგანტურ სიმაღლეებს მიაღწია. ჩვენ განვიხილავთ ეკონომიკის ახალი, კიდევ უფრო დიდი აღმავლობის პროგრამას.

ჩვენს პარტიაში უდიდესი რაოდენობით არიან თეორიულად მომზადებული კადრები ეკონომისტებისა, ისტორიკოსებისა, ფილოსოფოსებისა, იურისტებისა, იმ ადამიანებისა, რომლებსაც გაზეპირებული აქვთ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომები. მაგრამ ამ ცოდნის გადაცემა ძალიან მცირეა, ჩვენში არ იგრძნობა ღრმა მარქსისტულ-ლენინური შემოქმედებითი მუშაობა.

ჩვენი თეორეტიკოსების უმრავლესობა იმეორებს და ატრიალებს ძველ ციტატებს, ფორმულებსა და დებულებებს.

რა მეცნიერება შეიძლება იყოს, თუ შემოქმედება არ არის? ეს არის უფრო სქოლარობა, სასწავლო ვარჯიში და არა მეცნიერება, რადგან მეცნიერება უწინარეს ყოვლისა არის შემოქმედება, ახლის შექმნა და არა არსებულის გამეორება. (**ტაში**).

ჩვენმა მეცნიერ-თეორეტიკოსმა მუშაკებმა მთელი თავიანთი ძალები უნდა მოახმარონ ჩვენი სინამდვილის ახალი ფაქტების, სსრ კავშირში და საზღვარგარეთ ეკონომიური და საზოგადოებრივი განვითარების დარგში ახალი ამბებისა და მოვლენების შესწავლას, ყოველმხრივ უნდა შეისწავლონ ეს ფაქტები და მოვლენები, გააშუქონ ისინი მარქსისტულ-ლენინური სინათლით, და ამით გაამდიდრონ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეური საგანძური.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პარტიის XX ყრილობა სერიოზულად წაახალისებს იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებს, რომ ისინი სათანადოდ მოჰკიდებენ ხელს შემოქმედებითს მეცნიერულ მუშაობას. აქ ხალხისათვის საჭირო აურაცხელი საქმეა, ძნელი, საინტერესო და საპატიო საქმეა.

და დაე იცოდნენ იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებმა, რომ პარტია ვერ მოითმენს მათს შემდგომ ჩამორჩენას ცხოვრებისაგან. ეკონომისტებმა, ისტორიკოსებმა, ფილოსოფოსებმა, იურისტებმა პარტიის, ჩვენი ცხოვრების მხარდამხარ უნდა იარონ, მოვალენი არიან აღმოფხვრან მეცნიერული მუშაობის ჩამორჩენა და უზრუნველყონ მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი გამდიდრება.

• • •

ამხანაგებო! საანგარიშო მოხსენება მოწმობს დიდ მუშაობას, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა, მთელმა კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა ჩვენმა საბჭოთა ხალხმა გასწიეს პარტიის XIX ყრილობიდან XX ყრილობამდე განვლილ პერიოდში, სრული ხმით ადასტურებს იმას, რომ ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში.

ემყარება რა კოლექტიურ ხელმძღვანელობასა და კომუნისტური პარტიის ერთიანობას, ცენტრალურმა კომიტეტმა გაბედულად გამოავლინა წარსულ წლებში დაგროვებული შეცდომები და ნაკლოვანებები, გადაჭრით იბრძოდა მათი გამოსწორებისა და აღმოფხვრის პოლიტიკური მოღვაწეობის, სამეურნეო, კულტურული და შინაპარტიული მშენებლობის ყველა უბანზე. ეს არის ჩვენი ცენტრალური კომიტეტის მუშაობის ჭეშმარიტად ლენინური ნიშანი.

გადაჭარბებული არ იქნებოდა იმის თქმა, რომ ლენინის შემდეგ პარტიის XX ყრილობა ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ყრილობაა ჩვენი პარტიის ისტორიაში. **ლენინის სულისკვეთებით და ლენინიზმით არის გამსჭვალული მთელი ჩვენი მუშაობა და ყველა ჩვენი გადაწყვეტილება,** თითქოს ლენინი ცოცხალი იყოს და ჩვენთან ერთად იმყოფებოდეს. (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში**).

ცნობილია, თუ რა ძლიერ იყო შეშფოთებული ლენინი იმის წინ, სანამ დაგვტოვებდა, ჩვენი პარტიისა და რევოლუციის ბედის გამო. ყველაზე მეტად მას აშინებდა პარტიის გათიშვა და მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის გაწყვეტა. იგი ზრუნავდა იმისათვის, რომ გამოენახა საშუალებანი, როგორც ერთის, ისე მეორის თავიდან ასაცილებლად. იგი დარწმუნებული იყო, რომ პარტიის რიგების, მისი ხელმძღვანელობის ერთიანობის დაცვისას, გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის შენარჩუნებისა და განმტკიცებისას — კომუნიზმის საქმე უძლეველია.

როგორ გაეხარდებოდა ლენინს, ახლა, 32 წლის შემდეგ, იმის დანახვა რომ შეეძლოს, თუ რა ორგანიზაციული და პოლიტიკური ერთიანობა გვაქვს პარტიის რიგებსა და მის ხელმძღვანელობაში, როგორ ჰყვავიან მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, რა ურღვევი და მტკიცეა მუშათა კლასის კავშირი კოლმეურნე გლეხობასთან, დაინახავდა, რომ ჩვენ არა მარტო ვფიცავთ ლენინის სახელს, არამედ მთელი ძალებით ვახორციელებთ ლენინურ იდეებს და წმიდად ვასრულებთ მის ანდერძს. (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში**).

ჩვენი პარტიის XX ყრილობა, მისი გადაწყვეტილებანი, ცენტრალური კომიტეტის მოხსენება ფართო და მხურვალე გამოხმაურებას ჰპოვებენ პარტიაში, საბჭოთა ქვეყანაში, ყველა ჩვენს მეგობართა შორის უცხოეთში. განხორციელდება ახალი დიადი ამოცანები, რომლებიც დასახულია პარტიისა და ჩვენი ქვეყნის წინაშე. ეს ჩვენ ოდნავაც არ გვეეჭვება, ამაში დარწმუნებული არიან ჩვენი მეგობრებიც, მაშ დაე ჩვენი მოწინააღმდეგეებიც ნუ დაეჭვდებიან.

ჩვენი წინსვლის, კომუნიზმისაკენ წინსვლის საწინდარი უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ, როგორც ჩვენი უკვდავი ბელადი და მასწავლებელი ლენინი ამბობდა: „ჩვენ ვემყარებით ყველაზე საუცხოო ძალას მსოფლიოში — მუშათა და გლეხთა ძალას“. (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში**).

# საბჭოთა საქართველოს 35 წელი

**მ. დ. ჩუბინიძე,**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ქართველი ხალხი უდიდესი აღფრთოვანებითა და სიხარულით ეგებება თავისი ისტორიის ღირსშესანიშნავ თარიღს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 35-ე წლისთავის დღეს.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით სამუდამოდ მოიშორეს საძულველი უღელი უცხოელ იმპერიალისტთა დაქირავებული აგენტების — მენშევიკებისა და დაამყარეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება. ამ დღიდან დაიწყო ახალი ერა ქართველი ხალხის ცხოვრებაში — მისი ეროვნული აღორძინებისა და სოციალისტური აყვავების ერა. იგი სამუდამოდ დაადგა მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებით განათებულ გზას — კომუნიზმის გზას.

თავის ეროვნულ დღესასწაულს ქართველი ხალხი აღნიშნავს საყოველთაო-სახალხო პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XX ყრილობით. ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად ქართველ ხალხს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავისი წვლილი შეაქვს კომუნისტური მშენებლობის საქმეში, ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის იმ დიდ წარმატებათა მიღწევაში, რომლებიც ასე ღრმად და ყოველმხრივ დაახასიათა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში XX ყრილობაზე.

ეს წარმატებანი მიღწეულია ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების შედეგად, სსრ კავშირის ხალხთა იმ ურღვევი მეგობრობის განმტკიცების საფუძველზე, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ გამოჭედა.

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ერთსულოვნად და მხურვალედ იწონებენ პარტიის XX ყრილობის დირექტივებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, აცხადებენ, რომ მზად არიან მთელი ძალღონე და ენერგია მოახმარონ მათს განხორციელებას.

ქართველი ხალხი, ისევე როგორც სსრ კავშირის ყველა ხალხი, თავისი მრავალი წლის გამოცდილებით დარწმუნდა, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ზრუნავენ თვითეული საბჭოთა რესპუბლიკის, მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკის, კეთილდღეობისა და აყვავებისათვის, მთელი მატერიალური და სულიერი ძალების განვითარებისათვის.

საქართველოს მშრომელებმა სსრ კავშირის ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში საბჭოთა ხელისუფლების წლებში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის, სსრ კავშირის ყველა ხალხის დახმარებით მიაღწიეს ეკონომიკისა და ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის ისეთ აყვავებას, რომელიც უმაგალითოა საქართველოს მთელ მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

საქართველო გადაიქცა დიდად განვითარებული ინდუსტრიის, მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, დიდი ელექტროსადგურების, მრავალდარგოვანი სოციალისტური სოფლის მეურნეობის, მოწინავე კულტურის რესპუბლიკად.

წლითიწლობით იზრდება კაპიტალდაბანდებანი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში ამ მიზნით დაიხარჯა 27 მილიარდამდე მანეთი (შესაბამისი წლების ფასების მიხედვით). განსაკუთრებით დიდი იყო კაპიტალური მშენებლობის დანახარჯები საქართველოში ომისშემდგომი წლების მანძილზე. მაგალითად, 1946-1955 წლებში სახალხო მეურნეობაში დაბანდებული იყო 19 მილიარდამდე მანეთი, აქედან 11 მილიარდამდე მანეთი მეხუთე ხუთწლედში. რესპუბლიკის მთელი მრეწველობის და, უწინარეს ყოვლისა, მძიმე ინდუსტრიის უდიდეს განვითარებას მოწმობს ის, რომ გადიდდა საერთო პროდუქციის გამოშვება, რამაც 1955 წელს 27-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონეს. ამასთან მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა საერთო პროდუქცია შესაბამისად 73-ჯერ გადიდდა.

საქართველოში აშენდა ახალი ინდუსტრიული კერები, განვითარდა მრეწველობის ახალი დარგები, ძირეულად შეიცვალა ძველ საწარმოთა სახე, განახლდა მათი ტექნიკა. 1921 წელთან შედარებით ელექტროენერგიის წარმოება მრავალ ათეულჯერ გადიდდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებენ საქართველოში ახალი დიდი ელექტროსადგურების მშენებლობას. ამუშავდება ტყიბულჰესი, გუმათჰესი 1 და 2, ლაჯანურჰესი, ხრამჰესი 2, აგრეთვე დაიწყო დარიალჰესის მშენებლობა მდინარე თერგზე და ახალი დიდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მდინარე რიონზე. ელექტროენერგიის უფრო რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფისა და ენერგეტიკული რეზერვების შექმნის საქმეში დიდმნიშვნელოვან როლს შესრულებს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკების ენერგეტიკული სისტემების გაერთიანება ერთიან რკალად.

ქართველი ხალხი ამაყობს თავისი ღონისძიებებით, სსრ კავშირის ყველა ხალხის დახმარებით შექმნილი სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნით, ქალაქ რუსთავით. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეს, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს ეგზავნებათ ქართველ მეტალურგთა პროდუქცია — თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები, წვრილსორტული რკინა. მარტო 1954-1955 წლებში რუსთავში ამუშავდა ორი ბრძმედი, კოქსქიმიური ბატარეა, წვრილსორტული დგანები „320“ და „260“, ფურცელსაგლინავი დგანი „2.100“, აგრეთვე ქიმიურ საწარმოთა კომპლექსი. ყრილობის აღსანიშნავი შეჯიბრების დღეებში ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა შეასრულა გეგმა მთელი მეტალურგიული ციკლის მიხედვით. მინერალური სასუქების გამოშვება დაიწყო ქიმიური მრეწველობის ახალმა დიდმა საწარმომ — რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანამ. პირველი პროდუქციის გამოსაშვებად ემზადება ცემენტის ქარხანა. რუსთავი უკვე არა მარტო მეტალურგების ქალაქი, არამედ ქიმიკოსებისა და მეცემენტეების ქალაქიც არის. ამასთან ერთად რუსთავი გადაიქცა სამშენებლო ინდუსტრიის დიდ კერად.

მეექვსე ხუთწლედში შემდგომ მნიშვნელოვნად განვითარდება ქუთაისის საავტომობილო ქარხანა — საქართველოს მანქანათმშენებელი მრეწველობის უდიდესი საწარმო. იგი აითვისებს ახალი მარკის ავტომობილების გამოშვებას და 1960 წლის დამლევისათვის ჩვენს ქვეყანას მისცემს რამდენჯერმე მეტ პროდუქციას, ვიდრე 1955 წელს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველო გახდა ლითონსაჭრელი ჩარხების, საქსოვი დაზგების, სამათსაათო მოწყობილობის, ჩაის, მევენახეობის მრეწველობის მანქანების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ზუსტი ხელსაწყოების, ფეროშენადნობთა და მძიმე მრეწველობის სხვა სახეობის პროდუქციის დიდი მიმწოდებელი.

დიდ წარმატებებს მიაღწია ჩვენმა რესპუბლიკამ მარგანეცის მადნის, ქვანახშირისა და სხვა ძვირფასი მადნეულის ამოღების გადიდების საქმეში.

რამდენჯერმე გადიდდა პროდუქციის გამოშვება, გააფართოვა გამოშვებული საქონლის ასორტიმენტი და გააუმჯობესა ხარისხი საქართველოს მსუბუქმა, საფეიქრო და კვების მრეწველობამ.

რესპუბლიკაში აშენებულია მსუბუქი, საფეიქრო და კვების მრეწველობის ათობით ახალი დიდი საწარმო, მათ შორის გორის ბამბეულის კომბინატის პირველი რიგი, აბრეშუმსახვევი და აბრეშუმსაქსოვი, კამვოლმაუდის, ტრიკოტაჟის, ფეხსაცმლის, სამკერვალო, ჩაის ფაბრიკები, მევენახეობის, კონსერვის, მარგარინისა და ზეთსახდელი და სხვა ქარხნები და ფაბრიკები, რომლებიც სულ უფრო დიდი რაოდენობით უშვებენ სახალხო მოხმარების საგნებს. მარტო საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს ხაზით მეხუთე ხუთწლედში აშენდა და რეკონსტრუირებულია 90 საწარმო.

ჩვენი რესპუბლიკა ჩაის ძირითადი მწარმოებელია, იგი თამბაქოს, ღვინისა და მთელი რიგი სხვა დიდმნიშვნელოვანი საკვები პროდუქტების უდიდესი მიმწოდებელია. 1955 წელს საქართველოში ჩაის პირველადმა გადამუშავებამ შეადგინა დაახლოებით 37 ათასი ტონა ჩაი ნაცვლად 1913 წლის 128 ტონისა.

ქართული აბრეშუმის ქსოვილები ცნობილია შორს ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. მათი გამოშვება 1955 წელს პირველი ხუთწლედის პირველ წელთან შედარებით თითქმის 300-ჯერ გადიდდა. ამავე პერიოდში 36-ჯერ გადიდდა შალის ქსოვილების წარმოება, ხოლო ბამბეულის გამოშვება, რაც მხოლოდ მეხუთე ხუთწლედის წლებში დაიწყო, 1955 წელს 1954 წელთან შედარებით 5,6-ჯერ გადიდდა.

ჩვენს რესპუბლიკაში ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების შემდგომი გაფართოების დიდი პერსპექტივებია დასახული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებით მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. მეექვსე ხუთწლედში ამუშავდება გორის ბამბეულის კომბინატის მეორე რიგი, რაც შესაძლებელს გახდის 1960 წელს 1955 წელთან შედარებით 2,8-ჯერ გადიდდეს ბამბის ქსოვილების გამოშვება.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს საქართველოს სსრ მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების საერთო ზრდას 1,6-ჯერ. ეს ზრდა უზრუნველყოფილი უნდა იყოს შრომის ნაყოფიერების შემდგომი მნიშვნელოვანი გადიდებით, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მეცნიერების მიღწევათა, ტექნიკური პროგრესისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვის გზით.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების საფუძველზე დიდ წარმატებებს მიაღწიეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ წარსულში ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გადააქცია მოწინავე მრავალდარგოვან მეურნეობად, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით. რესპუბლიკაში შექმნილია 103 მტს-ი და მეცხოველეობის სამანქანო სადგური, რომლებსაც სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მრავალათასიანი პარკი აქვთ. მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მაღალი ტექნიკური აღჭურვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ფართო მექანიზაციის საშუალებას იძლევა. საქართველოს კოლმეურნეობებმა მარტო 1955 წელს თითქმის მთლიანად განახორციელეს მზრალად ხვნისა და ანეულის ხვნის სამუშაოთა მექანიზაცია, 84 პროცენტით — საშემოდგომო კულტურების თესვის მექანიზაცია, 72 პროცენტით — მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებისა და 60 პროცენტით — დასილოსების მექანიზაცია.

ჩვენი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მშრომელები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების, მოსავლიანობის გადიდების, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის შესახებ შეხვდნენ როგორც მოქმედების საბრძოლო პროგრამას და დიდი მუშაობა გასწიეს ამ მიმართულებით.

რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა მარცვლეული კულტურების, განსაკუთრებით სიმინდის თესვას. ასრულებენ რა პარტიის მითითებებს ამ ძვირფასი სასურსათო და საკვები კულტურის განვითარების შესახებ, შარშან რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა სიმინდის ნათესები 367 ათას ჰექტარამდე გაადიდეს.

განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა საქართველოში ძვირფასი ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურები. მაგალითად, ჩაის პლანტაციების ფართობმა 1955 წელს 66.000 ჰექტარს მიაღწია ნაცვლად 1913 წლის 894 ჰექტარისა, საერთო მოსავალმა შესაბამისად 118.000-მდე ტონა შეადგინა ნაცვლად 1913 წლის 550 ტონისა. 1913 წელთან შედარებით ერთიორად გადიდდა ტექნიკური კულტურების ფართობი, მათ შორის ისეთი დიდმნიშვნელოვანი კულტურებისა, როგორიც არის თამბაქო, მზესუმზირა, ეთერზეთოვანი კულტურები და სხვ.

საქართველოს მეციტრუსეობა, რომელიც თითქმის ახლად შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ჩვენს ქვეყანას აძლევს ასეულ მილიონობით ლიმონს, მანდარინს, ფორთოხალს.

საქართველო განთქმულია თავისი ხილით, ყურძნით. მევენახეობა და მებაღეობა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგებია. ხეხილის ბაღებს ახლა რესპუბლიკაში 104 ათასზე მეტი ჰექტარი უკავია, ვენახებს — 57 ათასი ჰექტარი.

ასრულებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა გასულ წელს ერთგვარ წარმატებებს მიაღწიეს მეცხოველეობის განვითარებაში. შესრულებულ იქნა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და თხის სულადობის ზრდის გეგმები, აგრეთვე თვითეულ ძროხაზე რძის საშუალო წველადობის გეგმა. მაგრამ პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. მეცხოველეობა საქართველოში სოფლის მეურნეობის ჯერ კიდევ ჩამორჩენილი დარგია.

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განუწყვეტელი განმტკიცების საფუძველზე უმჯობესდება კოლმეურნეთა კეთილდღეობა, იზრდება მათი ფულადი შემოსავალი. რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საერთო ფულადმა შემოსავალმა 1954 წელს 372.527 ათასი მანეთით გადააჭარბა 1950 წლის დონეს. თუ 1939 წელს საქართველოში მხოლოდ 37 მილიონერი კოლმეურნეობა იყო, 1954 წელს უკვე იყო 569, მათ შორის 231 კოლმეურნეობის შემოსავალი ორ მილიონზე მეტი მანეთი. მნიშვნელოვნად გადიდდა აგრეთვე შრომადღეების ნატურალური ანაზღაურება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა შორის ბევრია უხვი მოსავლის მოყვანის სახელგანთქმული ოსტატი, მთელ ჩვენს ქვეყანაში ცნობილი მეჩაიეები, მეციტრუსეები, მევენახეები, მეცხოველეები. მარტო 1947-დან 1955 წლამდე სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა 1.111 კაცს და ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის 9.919 მოწინავე მუშაკი. ბევრი მათგანი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომ მნიშვნელოვან ზრდას.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვა მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის მკაფიოდ გამოიხატება იმით, რომ განუწყვეტლივ იზრდება მუშებისა და მოსამსახურეების რაოდენობა, მატულობს მათი შემოსავალი, აგრეთვე იზრდება კოლმეურნე გლეხობის შემოსავალი და უმჯობესდება მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები. 1940 წელთან შედარებით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი 60 პროცენტით გადიდდა.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ფართოდ გაჩაღდა საბინაო-კომუნალური მშენებლობა.

ძირეულად იცვალეს სახე საქართველოს ქალაქებმა და სოფლებმა. განახლდა და უფრო კარგი გახდა ძველი თბილისი — საქართველოს სსრ დედაქალაქი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია მეექვსე ხუთწლედში დაიწყოს გროზნო-თბილისის გაზსადენის მშენებლობა, აშენდება აგრეთვე სატელევიზიო ცენტრი, ათობით საცხოვრებელი სახლი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები და სხვ.

თბილისთან ერთად გაიზარდნენ, უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი გახდნენ ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქები, რაიონული ცენტრები, სოფლები.

მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელად გაუმჯობესებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა საქონელბრუნვის მნიშვნელოვანი გადიდებისათვის. ბევრად გაფართოვდა სავაჭრო ქსელი, გაუმჯობესდა ვაჭრობის ორგანიზაცია. მეექვსე ხუთწლედში შემდგომ მნიშვნელოვნად განვითარდება ვაჭრობა საქართველოში.

უმაგალითოდ აყვავდა საქართველოს სსრ ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

ჩვენი რესპუბლიკა წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის რესპუბლიკაა. უკვე 1939 წელს საქართველოში ყოველ ათას მოსახლეზე 113,4 კაცს ჰქონდა საშუალო და 11,2 კაცს უმაღლესი განათლება. მას შემდეგ ეს ციფრები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

დიდ ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია — რესპუბლიკაში მეცნიერული აზრის ცენტრი, რომელსაც 15 წელი შეუსრულდა. განშტოებული ქსელი სამეცნიერო დაწესებულებებისა, რომელთა რიცხვმა 146-ს მიაღწია, აერთიანებს 2.500-ზე მეტ მეცნიერ მუშაკს, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ მოწინავე საბჭოთა მეცნიერების განვითარების საქმეში. საქართველოს მეცნიერები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, თავიანთ ძალღონეს ახმარენ იმას, რომ შემდგომ განამტკიცონ მეცნიერების კავშირი წარმოებასთან, გადაჭრან რესპუბლიკის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების არსებითი ამოცანები.

ქართველმა მწერლებმა, მხატვრებმა, მუსიკოსებმა, მსახიობებმა შექმნეს მთელი რიგი ამაღლებული პატრიოტული ნაწარმოებები, რომლებიც ცნობილია არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ჩვენს რესპუბლიკაში დიდად განვითარდა სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმე. საბჭოთა ხელისუფლების წლებში შექმნილია ასობით სამკურნალო და პროფილაქტიკური დაწესებულება, ძირფესვიანად გაუმჯობესდა მშრომელებისადმი სამკურნალო დახმარება. ახლა რესპუბლიკაში არის 607 სამკურნალო და საავადმყოფო დაწესებულება და მრავალი ასეული სხვა სამედიცინო დაწესებულება — ამბულატორიები, პოლიკლინიკები, საფერშლო-სამეანო პუნქტები, აფთიაქები და სხვ., რომლებსაც ემსახურება 11.500-ზე მეტი ექიმი და საშუალო სამედიცინო პერსონალის დაახლოებით 22.300 მუშაკი.

მხურვალედ იწონებს რა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკას, საბჭოთა ხალხი, რომელიც მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევა, არ ზოგავს ძალღონესა და ენერგიას, რომ წარმატებით განახორციელოს პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანები.

საქართველოს მშრომელები ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად, განამტკიცებენ რა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას — ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების წყაროს, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშით, მიაღწევენ თავიანთი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ახალ აყვავებას, ილაშქრებენ წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.